1947

# ოქტომბრელი

1947 იანვარი № 1

137

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ოქტომბრელი

საბავშვო ჟურნალი მცირეწლოვანთათვის
საქართველოს ალკკ ცენტრალური
კომიტეტის ყოველთვიური ორგანო
„Октомбрели" ежемесячный детский
журнал ЦК ЛКСМ ГРУЗИИ
(на грузинском языке)

№ 1
ი ა ნ ვ ა რ ი
1947

ფასი მეჩვიდმეტე

გამომცემლობა
„კომუნისტი"

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ლენინის ქ. № 28
ტელ. 3-81-85

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ოქტომბრელთა საახალწლო მილოცვა

# ბ ე ღ ა დ ს

ახალი წლის გარიჟრაჟი
აყვავილებს სარკმლებს თეთრად.
ბრძენთა-ბრძენო, ამ ტკბილ დილით,
ნეტავ, სტუმრად იყო ჩვენთან!
თითო-თითო მოსალოცი
გვათქმევინა მაინც ნორჩებს,
ვინაც ასი და ათასი
სიხარული მოგვილოცე...

რა გისურვოთ თვითონ მზესა,
სასურველს და სანატრელსა!
ათბობს, სტალინ, შენი შუქი
ჩვენი ქვეყნის მთებს და ველებს.
აბა, მზეს რა დააბერებს!
სიცოცხლეს რა დააბერებს!
იცოცხლე და იდღეგრძელე!
ხალხის მამა და იმედი —
არც არასდროს დაგვიბერდი!
არც არასდროს დაგვიბერდი!

**მურმან ლებანიძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

4353

ავტოლითოგრაფია მხატ. გ. ჯაშისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ა. კონონოვი

# მტრის ტყვია

ქარხნის მთავარ სახელოსნოში მიტინგი უკვე დაიწყო, ეზო კი ისევ ხალხით იყო სავსე. ელოდნენ ვლადიმერ ილიას-ძეს.

მალე ჭიშკარში მანქანა გამოჩნდა და სახელოსნოს შესასვლელთან გაჩერდა. მანქანის კარი გაიღო... ყველამ დაინახა ლენინი.

ვლადიმერ ილიას-ძე მიესალმა მუშებს და ჩვეული ჩქარი ნაბიჯით სახელოსნოების კარებში შევიდა.

ყველა მას გაჰყვა. ეზო დაცარიელდა.

შოფერმა მანქანა ჭიშკრისაკენ მიატრიალა სახელოსნოებიდან ხუთმეტიოდე ნაბიჯის მოშორებით გააჩერა და დაიწყო ლოდინი.

რამდენიმე წუთის შემდეგ მასთან უეცრად შავებით მოსილი ქალი მივიდა.

— მგონი, ამხანაგი ლენინი მოვიდა, არა?— ჰკითხა მან.

— არ ვიცი, ვინ მოვიდა.—უპასუხა შოფერმა.

ქალს ჩაეცინა.

— როგორ?! შოფერი ხართ და არ იცით, ვის დაატარებთ!

— არ ვიცი!—გაიმეორა მოღუშულმა შოფერმა და შეხედა მას,—რას ჩამაცივდა!—ჩაილაპარაკა თავისთვის.

ქალი სწრაფად მიტრიალდა და სახელოსნოებისაკენ გაემართა.

გავიდა საათზე მეტი.

ბოლოს სახელოსნოების კარი გაიღო და გამოჩდა ვლადიმერ ილიას-ძე, რომელსაც რამდენიმე მუშა ქალი გამოჰყვა, დანარჩენი მუშები გამოსასვლელში შეჯგუფდნენ: ვიღაც მამაკაცი, მეზღვაურის ტანისამოსით მორთული, ხელებგაშლილი გადაეღობა მათ.

— ნუ აწვებით! ნუ აწვებით!—ჩახლეჩილი ხმით ლულლულებდა ის.

მეზღვაურს დასივებული სახე და მოუსვენარი თვალები ჰქონდა. მხოლოდ ტანსაცმელით თუ ჰგავდა ის მეზღვაურს. ხელებით მტკიცედ ეყრდნობოდა კარების ჩარჩოს და ეზოში იყურებოდა.

მუშებმა იფიქრეს: ალბათ, ლენინს თუ იცავსო, და შეჩერდნენ კარებში.

ამ დროს ლენინი მანქანასთან მივიდა.

ის იყო, ხელი მოავლო მანქანის კარებს, რომ მას მუშა ქალებმა რაღაც შეკითხვა მისცეს, ლენინიც პასუხის მისაცემად მათკენ მიტრიალდა.

უცებ სროლის ხმა გაისმა, მას მაშინვე მეორეც მოჰყვა. ლენინი დაეცა.

მუშებმა მეზღვაური განზე გადაისროლეს და მისცვივდნენ.

შოფერი, ნაგანით ხელში, მანქანიდან გამოხტა; მანქანის მარცხენა ფრთის უკან მან შენიშნა ის ქალი, რომელიც ლენინის შესახებ ეკითხებოდა. შოფერმა ნაგანი მოიმარჯვა და ქალისკენ გაიწია, მაგრამ ქალი გაიქცა და ხალხში მიიმალა. ის იყო, უნდა დადევნებოდა მას, რომ მიწაზე მწოლარე ლენინი დაინახა.

შოფერი მივარდა ვლადიმერ ილიას-ძეს და მის გვერდით დაიჩოქა.

— ახლავე საავადმყოფოში...—წამოიძახა ვიღაცამ.

ლენინმა თავი წამოსწია და სუსტი ხმით სთქვა:

— არა, შინ წამიყვანეთ... შინ...

— შინ მიმყავს, საავადმყოფოში მე არ წავალ!—განუცხადა შოფერმა მუშებს.

მუშები ლენინისაკენ დაიხარნენ, უნდოდათ მანქანაში მისი შეყვანა, მაგრამ ლენინი წამოიწია და ოდნავ გასაგონი ხმით თქვა:

— მე თვითონ...

იგი გაფითრებული იყო, დიდის გაჭირვებით ადგა და მანქანაში შევიდა, მაგრამ დაჯდომა ვერ შესძლო და გიერდზე წამოწვა.

შოფერმა კარი მიიჯახუნა და მაშინვე გაქროლა მანქანა.

ამასობაში დაიჭირეს ის ქალი, რომელმაც ლენინს ესროლა. მას ხალხში უნდოდა მიმალვა, მაგრამ ბავშვებმა შენიშნეს იგი.

— ეს არის; ეს! მან ესროლა!

* * *

ეს მოხდა 1918 წელს, შემოდგომაზე.

მუშები იმედიანი მღელვარებით ადევნებდნენ თვალყურს გაზეთებს, რათა ლენინის ჯანმრთელობა გაეგოთ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაზეთებში სწერდნენ, რომ „ის ქალი, რომელმაც ლენინს ესროლა, ხალხის მტრების მიერ იყო მოგზავნილი. მათ ტყვია ძლიერი შხამით მოეწამლათ, რათა ლენინის სიკვდილი უეჭველი ყოფილიყო.

ჭრილობა ძალიან მძიმე იყო.

ექიმებს არ ქონდათ ვლადიმერ ილიას-ძის მორჩენის იმედი.

მაგრამ, აი, გამოვიდა გაზეთები სასიხარულო ცნობით: **ლენინმა დაიწყო გამოჯანმრთელება.**

ქარხანაში ისევ მოიწვიეს მიტინგი. ერთმა ამხანაგმა წაიკითხა ცნობა იმის შესახებ, რომ ლენინი უკეთ არისო. შემდეგ ტრიბუნაზე ავიდა მოხუცი მუშა ქალი და ტირილით წარმოსთქვა:

— კარგად ვერ მოვუფრთხილდით ჩვენ მას... ვერ დავიფარეთ ტყვიისაგან! რა მძიმე ავადმყოფობა გაიარა ილიას-ძემ!

მერე გადახედა თავის ამხანაგებს და ხმამაღლა სთქვა:

— რა ბედნიერებაა, რომ ჩვენ გვყავს ლენინი!

თარგმნა რუსულიდან

**რ. მ-ნმა**

ნახ. **ი. რაზმაძისა**

# ბიჭუნა პირველკლასელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სკოლაში დადის ყოველდღე
ბიჭუნა პირველკლასელი!
რა ბეჯითია, რა მკვირცხლი,
მსგავსის არა ვარ მნახველი!
მას „დედაენა“ უყიდეს,
„ანბანი“ გოგებაშვილის,
მუდამ სურს, ამ წიგნს უცქიროს,
მუდამ წინ ედოს გაშლილი.

—

ჯერ სხვა უკითხავს... მოხიბლეს
მოთხრობებმა და ლექსებმა,
სურათებს ათვალიერებს,
ლამაზ ყდას ეალერსება,
ანბანი დააწყებინეს,
გული სიამით ევსება!

—

რამდენი ბგერა გაიცნო!!
ასოებსაც სწერს ლამაზად;
მასწავლებელმა შეაქო,
დედასაც მოსწონს, მამასაც!

—

„სი-მინ-დი... დრო-შა... მდი-ნა-რე“...
კითხულობს თითგაყოლებით;
ტოლს ამხანაგებს არ უგდებს,
ეჯიბრებიან ტოლები!!

—

რა ბეჯითია, რა მკვირცხლი,
მსგავსის არა ვარ მნახველი;
მას ეჩქარება დაწეროს
ერთი ძვირფასი სახელი.

—

ჯერ ყველა ბგერას ვერ იცნობს,
კვლავ ზოგი ასო აკლია,
მიძებნ-მოძებნა ანბანში,
აგერა, სად მიაკვლია...“

—

სთქვა: „სად ყოფილა ასო «ტ»,
როგორ შორს გადატანილი!“
მოეშვა გულზე, დაწერა
ძვირფასი სიტყვა ს ტ ა ლ ი ნ ი.

ილია სიხარულიძე
ნახ. გ. ჩირინაშვილისა

# წვეთის ოინები

გადაემტერა წყლის წვეთი სამსართულიან სახლს. ცოფიანივით წამოვიდოდა ციდან, გახვრეტდა სახურავს და გაივლიდა სხვენს.

— შხაპ... შხაპ... შხაპ...—ეცემოდა იატაკზე.

ერთხელ წვეთმა სახურავი ველარ გახვრიტა. პატრონს ძველი კრამიტი რკინის ფურცლებით შეეცვალა. წვეთი თუნუქს მოხვდა და გაჩერდა. საიდან არ სცადა სხვენში ჩაძრომა, მაგრამ ვერას გახდა.

გული მოუვიდა, დაემუქრა თუნუქს.

— მე, შენ გამოუწვავი კრამიტი ნუ გგონივარ, წვეთო, რისი და ვისი იმედით მემუქრები?—მშვიდად უთხრა თუნუქმა.

— დედაჩემს, ღრუბელს, ვეტყვი და განანებ სიტყვის შემობრუნებას! – აბუზღუნდა წვეთი.

— ენა დაიმოკლე!—ამაყად შეუყვირა თუნუქმა და წვეთი ჰაერში ააორთქლა.

ეს ამბავი ზამთრის გასულს მოხდა. აორთქლებული წვეთი ნიავს გაჰყვა, ზღვაში მივიდა, სადაც დედა იმისი, შავი ღრუბელი, ლურჯ ტალღებზე ისვენებდა. წვეთმა მას შესჩივლა თუნუქის ურჩობის ამბავი.

კაპასი იყო წვეთის დედა — შავი ღრუბელი. სიბრაზით ასი ტიკი წყალი დალია, გასივდა, გაიბერა, მაღლა ავიდა და ცას გაეკრა. გამოეშურა თუნუქის სახურავის დასასჯელად. გზის მაჩვენებლად წინ თავისი შვილი, წვეთი, გაიძღოლა.

წვეთის მუქარამ ჩააფიქრა თუნუქი:— ვინ იცის, რეგვენი წვეთი რას არ ჩაიდენსო.—ამიტომ სულ ცას მისჩერებოდა: კარგად იცნობდა წვეთის დედას, შავ ღრუბელს, რომელიც ხშირად სახურავებს ღამესავით გადაეფარებოდა ხოლმე.

მოიხმო თუნუქმა თავისი მეგობარი კალატოზი და შესჩივლა თავისი გასაჭირი.

კალატოზმა ულვაშებზე გადაისვა ხელი და უთხრა თუნუქს:

— ვეცადოთ, მოულოდნელ თავდასხმას მზად დავხვდეთ. მაისის ბოლომდე შავი ღრუბელი ნიაღვრისათვის ვერ მოემზადება. კარგად ვიცნობ მის ხასიათს.

ერთ მზიან დღეს კალატოზმა მეთუნუქე და ელექტრომონტიორი მოიყვანა.

მეთუნუქემ თუნუქი დასჭედა ნაკერავებში, საწვიმარი ღარ-მილები შეაკეთა და ყველას ზეთი და საღებავი წაუსვა.

ელექტრომონტიორმა სახლს მეხამრიდი გამოუცვალა და სახურავი ახალი, გრძელი მავთულით დააკავშირა ნოტიო მიწასთან.

თვითონ კალატოზმა სახლს საძირკველი გაუსინჯა და ღვარ-სადენები შეაკეთა.

მაისის დამლევს, ახალ მთვარეზე, გაჩნდა ისევ წვეთი სახურავის თავზე, აღმოსავლეთიდან მოვიდა და შემოუძღვა ქალაქში ღრუბელს.

ღრუბელმა ჯერ კოკისპირული წვიმა დაუშვა ქალაქს, მერე ქვასავით მაგარი სეტყვა დააყარა და ქუხილით დააყრუა. ბოლოს, გათავხედებულმა, მეხი ესროლა სახლს.

ავი დღე დაუდგა თუნუქის სახურავს, გვერდები ეტკინა, მაგრამ გამარჯვების მოლოდინში გაჭირვებას იტანდა. იმედიანი თვალით უცქერდა ქვემოდ კალატოზის მიერ შეკეთებულ ღვარსადენებს, რომლებიც მოვარდნილ წყალს ნთქავდნენ. სიხარულით შეცქეროდა მეხამრიდს, რომელიც გამოსროლილ მეხს იჭერდა და ნოტიო ნიადაგში მარხავდა.

დილით თუნუქის სახურავმა მოწმენდილ ცას შეხედა, გაიცინა და მზის სხივებზე სარკესავით ალაპლაპდა.

ამ დროს ისევ გაჩნდა საიდანღაც წვეთი და კვლავ დაემუქრა მას.

— სანამ ადამიანები მეგობრად და პატრონად მყვანან, ვერას დამაკლებ! — მიუგო თუნუქმა და წვეთი ააორთქლა.

ბორის ჩხეიძე

ნახატები კ. ჭანკვეტაძისა

## ჩვენი საყვარელი პოეტი

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, 20 იანვარს, გარდაიცვალა ჩვენი ხალხის, ჩვენი ახალგაზრდობისა და ბავშვების საყვარელი პოეტი გიორგი ქუჩიშვილი.

60 წლის ასაკში მოუსწრო სიკვდილმა პოეტს.

დაუცხრომელი სიცოცხლის მქონე გ. ქუჩიშვილი, ლხინსა და გასაჭირში, ყოველთვის თავის ხალხთან იდგა და ამ ხალხის სიყვარულით სწერდა თავის საუკეთესო ლექსებს.

განსაკუთრებული გრძნობით უყვარდა პოეტს ბავშვები. გ. ქუჩიშვილი ბავშვებს ფეხადგმულ ყვავილებს ადარებდა და ბევრს სწერდა მათთვის.

შესწყდა საყვარელი პოეტის — გიორგი ქუჩიშვილის გულისცემა, მაგრამ მისი ნათელი ხსოვნა კვლავ ცოცხალია და მუდამ ცოცხალი იქნება ჩვენი ხალხის გულში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ჩვენი ეზოს ცანგალებს

მე თუ თქვენთვის ვლექსაობ,
ვზრუნავ ასე ძალიან —
დაიხსომეთ, ბავშვებო,
ისევ თქვენი ბრალია!

თქვენ ისეთი კარგი ხართ,
როგორც ცისკრის ვარდები,
მე კი არა, თვით უგრძნობ
ხესაც შეუყვარდებით.
ბაღში რომ ხართ, ნარგიზი
ყელს სულ თქვენსკენ იღერებს,
სიმღერა რომ იცოდეს,
მუდამ თქვენთვის იმღერებს.
თქვენ ისეთი კარგი ხართ,
ცქრიალები, მარდები,
მზეს, ჩიტებს და ყვავილებს —
ყველას შეუყვარდებით!

მაგრამ ზოგი თქვენგანი
ეშმაკია ძალიან...
თუ ამას გიკიჟინებთ,
ისეც თქვენი ბრალია!
მე იმას კი არ ვამბობ:
ცუდები ხართ ყველანი...
— წიგნებს პატივს არა სცემთ,
ზედ დაგისხამთ მელანი;

ზოგი პირსაც არ იბანს,
თმაც არ დაუვარცხნია,
გუშინ რაც უჭამია,
დღეს ტუჩებზე აცხია!
ზოგიც ამბობს: „სკოლაში
წესიერი ვიქნები,
შინ კი-ჩემი ნებაა
არ ვიკითხო წიგნები“.

საყვარელო ბავშვებო!
ნუ წაბაძავთ ამგვარებს —
მედიდურებს, მოჩხუბრებს,
ცუღლუტებს და ცანგალებს.
ისწავლეთ და იხარეთ
ლაღად, ფრთა-გაშლილობით,
მოიხვეჭეთ სახელი
თავაზით და ზრდილობით.
ვინც სწავლაში ბეჯითობს,
ის ყოველთვის წინ არი, —
აი, თქვენი მომავლის
პირველი საწინდარი!
თქვენზე ფიქრობს ბელადი,
თქვენც იფიქრეთ ბელადზე.
შეიყვარეთ სამშობლო
უფრო მეტად ყველაზე.
როცა წამოიზრდებით
და გახდებით დიდები —
ავს ავად გახსენებენ,
კარგს — ქებით და დიდებით.

ი. გრიშაშვილი



# საახალწლო

ცას უცინის ლურჯი ლოყა,
გაზაფხულის შუქი ჩნდება;
დღეს არავინ გამაბრაზოს,
გულის მოსვლა დამჩემდება.

მომავალი იმედს ანთებს,
მე უთქვენოდ როგორ გავძლო!
გთხოვთ მეწვიოთ,
გთხოვთ მობრძანდეთ,
ზეიმი მაქვს საახალწლო.

გოზინაყით დაგიხვდებით,
ვინც მეწვევით ჩემი კბილა,
რომ ახალწლის ყოველი დღე
გაატაროთ ასე ტკბილად.

მომავალი სხვა შუქს ანთებს
მე უთქვენოდ როგორ გავძლო!
გთხოვთ მეწვიოთ,
გთხოვთ მობრძანდეთ,
ზეიმი მაქვს საახალწლო.

ანდრო თევზაძე

## ცუგრუმელა მასპინძელი

მხიარულობს თინათინი,
დატრიალებს სტუმრებს თავზე,
ხან თავდაბლად გაუღიმებს,
ხან ტკბილეულს შესთავაზებს.

ფაცი-ფუცობს მასპინძლურად,
მათთან ჯდომა უნდა თანაც;
ხილი, ყავა, გოზინაყი
ცელქებს ერთად მიუტანა.

შვენის თეთრი წინსაფარი,
გულუხვობას იჩენს მეტად,—
მის სუფრაზე, ამ ახალწელს,
ჩვენც სტუმრები ვიყოთ, ნეტავ!

## ახალი წელ

ახალი წელი დამდგარა,
თეთრად მორთულა მთა-ველი,
ტყეში, დაზნექილ ხეებზე,
თოვლი დევს თითო მტკაველი.
ფიჭვს წვეროს გათეთრებია,
ტოტს ველარ მართავს ურთხელი,
სიმღერით ფერხულს უვლიან
დათვი, მელა და კურდღელი.
ტაშს სცემენ, ყალყზე შემდგარან
ტურა, არჩვი და აფთარი,
მათაც ახალი წელი აქვთ,
მათაც ახარებთ ზამთარი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნახატი ნ. ფოფხაძისა

## დამდგარა

ცეკვავენ, ბუქს აყენებენ,
ირგვლივ დგას კორიანტელი,
ვარსკვლავებივით უბრწყინავთ
ბეწვებზე თოვლის ფანტელი.
შუაში თოვლის ბაბუა
სახემღიმარი ჩამდგარა,
ისიც ნაძვის ხეს შეჰხარის,
ისიც ტაშს უკრავს, ჰაღარა.
ცას სწვდება მწვანე ნაძვის ხე,
ყველა ხეებზე მაღალი,
ტყეც ბავშვებივით ზეიმობს —
წელი დამდგარა ახალი.

**გრიგოლ აბაშიძე**

## დაივიწყეს მტრობა ძველი

გულუხვია ამ ახალწელს
ფისო, ეურშას მასპინძელი.
ერთად სხედან, იცინიან,
დაივიწყეს მტრობა ძველი.

ერთმანეთი ადღეგრძელეს,
მეგობრობა აქეს მეტად,
დაჭკრეს ტაში და აცეკვეს
კნუტები და ლეკვი ერთად.

არ აკლიათ ტკბილეული,
ნამცხვარი და სმელი ხილი.—
მომეწონა მათი სუფრა,
მეგობრული მათი ლხინი.

**გიორგი კაჭახიძე**

ნახატი **ანდრო კანდელაკისა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ტყუპები

მოთხრობა

ტყუპები არიან მანანა და მარინე. ძალიან ჰგვანან ერთმანეთს.

ორივენი დილდილობით ერთად დგებიან, ჩაცმაც კი ერთნაირი უყვართ. ადგომისას მანანა წითელარშიებიან კაბას ჩაიცვამს, მარინეც ისეთივე უნდა ჩაიცვას.

მუდამ ერთად თამაშობენ.

დედიკოს და მამიკოს ერთნაირი სათამაშოები მოაქვთ მათთვის. თუ კი სათამაშოები ცოტათი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, გოგოები უკმაყოფილონი რჩებიან.

როდესაც მშობლები სამსახურიდან ბრუნდებიან, ტყუპები ერთად ჩაეკონებიან ჯერ დედას, მერე მამას. ეალერსებიან მათ, ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლიან და ტიკტიკებენ, ტიკტიკებენ შეუსვენებლივ...

ვერ იქნა და ვერ ისწავლა გოგონების ცნობა ბებომ. სულ ერთი წელია, ბებო რომ სოფლიდან ჩამოვიდა, მაგრამ მაინც ეშლება ერთმანეთში ტყუპები. მანანა რომ იცელქებს, ბებო მარინეს უწყრება, მარინე რომ რაიმეს გასტეხს, ბებო მანანას სჯის.

როდესაც საღამოთი გოგონები დედ-მამას შესჩივლებენა ბებო დღეს უსამართლოდ გაგვიწყრაო, — ბებო ბუზღუნებს:

— რა ვიცი, გეთაყვათ, რომელი რომელია, მე მაგათი ვერაფერი გამიგია!

მშობლები იცინიან! გოგონები მეორე ოთახში გაჰყავთ და სათითაოდ ეძახიან. შემოსულს წინ და უკან გაატარებენ, თან ბებოს უხსნიან, რომ ეს მანანაა, რადგან იგი სიარულის დროს ცოტათი დაბაკუნებს და სიცილის დროს ლოყასთან წერტილი უჩნდება. ბებო თითქოს გებულობს ყველაფერს, მაგრამ არჩევანს როცა მას დააკისრებენ, ბებოს კვლავ ერევა ერთმანეთში ბავშვები: მანანას მარინეს ეძახის და მარინეს — მანანას.

ერთხელ ბებო ავად გახდა. თავი საშინლად ატკივდა. ვერც საწოლი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დან წამოდგა. დედიკომ ბავშვებს დაუბარა: ყური ეგდოთ ავადმყოფისათვის, ხოლო ვინც უფრო ჭკვიანად მოიქცეოდა, მამიკო მას საჩუქრად კარგ ტიკინას შეჰპირდა.

როგორც კი მშობლები სამსახურში წავიდნენ გოგონები აცელქდნენ, მალე მათ ბებომ დაუძახა და წყალი მოითხოვა. გოგონები დაჩუმდნენ და ერთმანეთს გაკვირვებით გადახედეს. თვალებით ერთმანეთს ეკითხებოდნენ:

— ნეტავ, რა მოუვიდა ბებოსო! — შემდეგ გაიქცნენ გოგონები... მანანამ მოასწრო და ბებოს ჭიქით წყალი მიურბენინა. ბებომ ხელი ტახტქვემოდ ჩააცურა, იქიდან ჩურჩხელა ამოიღო და მანანას მისცა. მარინეს გული დაწყდა. ბებომ ახლა მარინეს გაუჩინა საქმე. სთხოვა, ფანჯარა გაეღო, რათა ოთახში სუფთა ჰაერი შემოსულიყო. მარინეს ეამა, ბებომ რომ საქმე დაავალა, სწრაფად გაიქცა და ფანჯარა გააღო...

ბებომ ახლა მარინესაც მისცა ჩურჩხელა.

მიხვდნენ გოგონები, რომ ბებოს გაჯავრების გარდა საჩუქრების მიცემაც ჰყვარებია, და, რომ არ შეშლოდა ბებოს ერთმანეთში ისინი, ტყუპებმა სხვადასხვა ფერის ტანსაცმელის ჩაცმა დაიწყეს.

ბებო მალე განიკურნა და წამოდგა. გოგონები ისე მიეჩვივნენ საქმიანობას, რომ ბებოს თხოვნის განმეორება არ სჭირდებოდათ.

დაჭკვიანდნენ გოგონები. ოთახებში აღარ ისმოდა ბებოს ყვირილი. საღამოობით დედ-მამას ბებო მუდამ კარგ ამბავს ახვედრებდა. მამა კმაყოფილებით იღიმებოდა და ბებოს ეკითხებოდა:

— აბა, ბებო, ერთმანეთისაგან არჩევ ჩვენს გოგონებს?

ბებო ბავშვებს მკერდზე მიიკრავდა და უპასუხებდა:

— როგორ არ ვცნობილობ, გეთაყვათ! ჩემი ხათრით სხვადასხვა ფერის ტანსაცმელს იცვამენ, რომ საჩუქრების მიცემისას არ შემეშალოს ისინი. დაჭკვიანდნენ, ენაცვალოს მაგათ ბებო!

**ბივი გოგიჩაიშვილი**

ნახატები **რ. სტურუასი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრიყვი ყურწკაპუნა

ზღაპარი

კურდღელს ჰყავდა ერთი შვილი,
მძიმე შრომით გამოზრდილი.

დედის გულის მოსალხენად
რიკო ერქვა მას სახელად.

ცელქი იყო ეს პატარა,
გულთეთრი და კაფანდარა.

თუ დედიკო შინ არ იყო,
არ დგებოდა სახლში რიკო.

გაგულისდა ერთ დღეს დედა,
რიკოს კარი ჩაუკეტა.

და წავიდა შორს, შორს მშვიდად,
სანოვაგის მოსაზიდად.

რა ჰქნას რიკომ, რა იღონოს?!
რამე უნდა მოიგონოს...

და ჰა, დაჰკრა თათი წინა,
ჩაამტვრია სარკმლის მინა.

მირბის ურცხვი პაწაწინა,
შორს დასტოვა დედის ბინა.

დაეკარგა გზა და კვალი,
ამოევსო ცრემლით თვალი.
სად იყო და სად არ იყო,
წინ შემოხვდა მელა რიკოს.

მოეფერა ცელქს, პაწიას,
თითქო იყო მისი ძია.

„ნუ, ნუ სტირი, გენაცვალე!
შემაჯექი ზურგზე მალე!

კარგად ვიცნობ შენს დედიკოს,
სწორედ გუშინ ჩემთან იყო“.

მეტისმეტი სიხარულით
აუძგერდა რიკოს გული.

შემოახტა ზურგზე მელას
დედიკოსთან წასასვლელად.

მაგრამ ბრიყვი ყურწკაპუნა
მელამ ხვრელში შეახტუნა.

და მას აქეთ რიკოს დედა
კარზე ზის და ცრემლად დნება.

ლიდია მეგრელიძე
ნახატები ანდრიუ კანდელაკისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ომგადახდილის ნაამბობი

მოთხრობა

გერმანელებმა უკანასკნელი ძალა მოიკრიბეს და შემოგვიტიეს. წითელარმიელების ერთი რაზმი ტყეში ჩავსაფრდით და იქიდან ვესროდით მტერს. გათავხედებული გერმანელები მალე შევაჩერეთ. ამ დროს მეთაურის ბრძანება მოგვესმა:

— წინ, ამხანაგებო!

წითელარმიელები მტერზე საიერიშოდ წამოვიშალენით. ცოტა გავირბინე და უცებ მხარში მწვავე ტკივილი ვიგრძენი. უგონოდ დავეცი...

არ ვიცი მერე რა მოხდა.

გონს რომ მოვედი, ღამე იყო. ხეების ტოტებში მთვარის შუქი ოდნავ სჩანდა. წყურვილი მკლავდა. წამოდგომა ვერ მოვახერხე. დაჭრილი მხარი მიხურდა, თითქოს ცალი ხელი არც-კი მქონდა. გარშემო სიჩუმე იყო და შემეშინდა. უნუგეშოდ ვიწექი და ვფიქრობდი: ვინ მიპატრონებს, აქ ვინ მიპოვის?!

უცბათ ფაჩუნი შემომესმა. მივიხედე, და ჩემსკენ რაღაც ნადირი მოდიოდა. კიდევ უფრო შემეშინდა: განძრევა არ შემეძლო და ტყის ცხოველი როგორ მომეგერებინა?!

ნადირი მომიახლოვდა, დამსუნა, ხელი ამილოკა... შიში სიხარულით შემეცვალა: ის ცხოველი ძაღლი აღმოჩნდა და ისიც სანიტარი ძაღლი. ზურგზე, ხურჯინის მსგავსად, ჩანთები ჰქონდა გადაკიდებული, რომლებშიც წამლები და შესახვევი ელაგა. ძაღლი მომიწვა, ხან ერთ გვერდს მომიშვერდა, ხან მეორეს, რომ ჩანთებიდან ამომეღო რამე, მაგრამ ვერაფერს ვახერხებდი.

ძაღლმა ჩემი უძლურება რომ დაინახა, წამოხტა, ცოტა გაირბინა და ღმუილი დაიწყო: ვიფიქრე: რომ მიმატოვოს, რაღა მეშველებათქო! და დავუძახე:

— ცუგრია, მურია! მოდი აქ, მოდი ჩემთან!

რამდენიმე წუთის შემდეგ ადამიანების ფეხის ხმა შემომესმა. ჩემსკენ წითელარმიელები მოდიოდნენ. წინ ის ძაღლი მოუძღოდა. გახარებულმა წამოვიწიე და შევყვირე:

— ძმებო, მიშველეთ, ამიყვანეთ!

ბუჩქებში მომნახეს, ამწიეს და საკაცეზე დამდეს. ძაღლმა შემომხედა, სიამოვნებით კუდი გაიქნია და სხვა დაჭრილების საძებნელად გასწია.

ცოტა ხნის შემდეგ მე უკვე საველე გოსპიტალში ვიწექი.

ე. ღ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შავი ქათამი

**მოთხრობა**

ფერმერ ბერნარს სამი ვაჟი ჰყავდა, სამივენი კარგები იყვნენ. როგორც ყველა ბავშვს, მათაც ტკბილეული უყვარდათ, განსაკუთრებით უმცროსს, რომელსაც ზამთარში შეუსრულდა 7 წელი. ეს, რასაკვირველია, დანაშაული არ არის მოზარდისათვის, მაგრამ მშობლების უყურადღებობის გამო, ამ სიყვარულმა ბავშვს, შეიძლება, სერიოზული დანაშაულება ჩაადენინონ.

ერთ დღეს ფერმერ ბერნარს ოჯახში ორი საუკეთესო მსხალი დაეკარგა, რომელსაც იგი დღესასწაულისათვის ინახავდა.

ვის შეეძლო წაეღო მსხლები?

დაიბარეს ბავშვები. მათ ერთხმად უარი განაცხადეს: — ჩვენ არ მოგვიპარავსო. — ერთმა კი დაუმატა: — შეიძლება მსხლების ქურდი ისიდორეს შვილი იყოს, რომელიც ბოლო ხანებში ხარებს ფერმაში ერეკებოდაო.

ბერნარი შეწუხებული იყო არა მსხლების დაკარგვით, არამედ იმით, რომ უწესო საქციელი ოჯახის რომელიმე წევრს ეხებოდა. ვინ იცის, იქნებ დამნაშავე საკუთარი შვილთაგანი იყო.

და, აი, როცა მოწყენილი ბერნარი ფანჯარასთან იჯდა, ქუჩაში ქალბატონი ნანეტა გამოჩნდა, თავისი ქათმით ხელში.

ქალბატონი ნანეტა კუდიანი ქალის სახელით იყო ცნობილი.

— დიდი საქმეა! — სთქვა მან, როცა მოისმინა ბერნარის უსიამოვნების მიზეზი, — შეკრიბეთ ოჯახის ყველა წევრი!

როცა ოჯახის ყველა წევრი შეიკრიბა, ნანეტამ სთქვა:

— აქ იმყოფება ქურდი. ჩემი ქათამი განსაკუთრებული ჯიშისაა და ვალდებულებად იღებს, გამოიცნოს დამნაშავე. აი, ეხლა ყველა თქვენგანმა ქათამს ზურგზე ხელი გადაუსვით. ვისაც არაფერი არ დაუშავებია, ქათამი არ გაინძრევა, როცა კი მას შეეხება დამნაშავის ხელი, ქათამი დაიკაკანებს.

ქალბატონმა ნანეტამ დადგა კალათა, რომელშიც იჯდა მშვენიერი შავი ქათამი. ყველამ გადაუსვა ხელი ზურგზე ქათამს. ბოლოს ჯერი მიდგა ფერმერის სამ ბავშვზე: პირველად ჟორესიმ გადაუსვა ქათამს ხელი, მერე — გენრიხმა, უკანასკნელად — ჯიულიმ.

ქათამი სდუმდა.

— ვაი, ვაი, ვაი! — წამოიყვირა ქალბატონმა ნანეტამ, — უნდა იფიქროს კაცმა, რომ ქათამმა დაჰკარგა თავისი თვისება. აბა, მაჩვენეთ ყველამ ხელის გული!

ვინც კი ქათამს გადაუსვა ხელი, ხელისგული ყველასი მჭვარტლით გამურული აღმოჩნდა, მხოლოდ ჯიულის ხელი იყო სუფთა. ქალბატონი ნანეტა მივიდა მასთან და თვალებში ჩახედა.

— თქვენ მოიპარეთ მსხალი?! დაამტკიცეთ, რომ მართალს არ ვამბობ!

ჯიული ქანდაკებასავით იდგა, არაფერს პასუხობდა. შერცხვა, მთლად გაწითლდა, უკან დაიხია და, ატირებულმა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძიძას ჩაეკრა გულში, რომელმაც დაჰფარა იგი თავისი წინსაფარით.

თქვენ გესმით, ბავშვებო, მოხერხება ნანეტასი?!.

ქალბატონმა ნანეტამ ქათმის ზურგი შავი მურით შეღება. ვისაც დანაშაული არ ჰქონდა, არაფრის ეშინოდა და ქათამს ზურგზე უშიშრად გადაუსვა ხელი და მურით დაესვარა. რაც შეეხება ჯიულის, მას შეეშინდა: ქათამმა არ გამოამჟღავნოს ჩემი დანაშაულიო, დაიხარა, ვითომ ქათამისათვის ხელის გადასასმელად, მაგრამ მისი ზურგისათვის ხელი არ დაუკარებია. აი, რატომ დარჩა ჯიულის ხელი სუფთა.

ჩადენილი დანაშაული არ დაიფარება. იგი რითიმე გამომჟღავნებული იქნება და დანაშაულის ჩამდენი შერცხვენილი და დასჯილი.

თარგმნა ფრანგულიდან ნ. კუკავაძემ
ნახატი ფ. ლაბიაშვილისა

## შეიყვარე სკოლა შენი!

შეიყვარე სკოლა შენი,
ვინც გასწავლის, გწამდეს გულით, —
ჩემო შვილო, ხარ სიცოცხლის
შუქთამფენი გაზაფხული!

ეტრფი ყოველ სისხამ დილას,
სკოლისაკენ წასვლას ჩქარობ,
პატარა ხარ, შვიდი წლის ხარ,
მეგობრების ხილვით ხარობ!

მასწავლებელს მშვიდად უსმენ,
გაკვეთილებს აღარ აცდენ,
გაფასებენ წყნარს და გულწრფელს,
ველარ იტან სიზარმაცეს!

სიხარულად მოვლენილო,
გიყვარს სწავლა წრფელი გულით,
საყვარელო ჩემო შვილო,
ხარ სიცოცხლის გაზაფხული!

ქალე ბობოხიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## დათვი

ზამთარია. დათვი თაგის ბუნაგში წევს, რომელიც ნაძვის ძირში გაიკეთა. შემოდგომაზე ამოთხარა აქ დიდი სორო, შეზიდა შიგ ფიჩხი, ფუჩეჩი და მოიმზადა თბილი საწოლი. აცივდა თუ არა, დათუნია შეძვრა ბუნაგში, ჩაწვა ფუჩეჩში და დაიძინა. არც საჭმელი უნდა გაზაფხულამდე, არც სასმელი. გაიღვიძებს მხოლოდ გაზაფხულზე, გამოვა ბუნაგიდან მშიერი, გამხდარი და დაიწყებს საჭმლის ძებნას.

პარმენ ჭანიშვილი

ნახ. გ. ვულისაშვილისა

---

## თემურიკოს სინანული

ვინ მეძახდა, ომარიკო! —
ნეტავ, გიგი ხომ არ იყო?
ნეტავ, დათო ხომ არ იყო?
რომ ვეჩხუბე ჯემალიკოს,
ალბათ, უნდა შემარიგოს...
რათ მომტაცა „ოქტომბრელი“?
ისიც ბურთი ხომ არ იყო! —

ვინ მეძახდა, ომარიკო! —
ნეტავ, გიგი ხომ არ იყო!
რათ ვეჩხუბე ჯემალიკოს?
ნეტავ, ვინმემ შემარიგოს!

ნინო აღნიაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# გასართობი

## გამოცანი!

ვინ შეიძლება იყოს ისეთი, ხმა არ გაიღოს და ყველას კი ასწავლოს?

ენა არ ჰქონდეს და ყველაფრის შესახებ ილაპარაკოს?

ფეხი არ ჰქონდეს და ყველგან კი იაროს?

ხე არ იყოს და ფურცლები ჰქონდეს?

კაცი არ იყოს და ამბავს ჰყვებოდეს?

### ხალხური თქმულებანი წიგნზე

წიგნს წაიკითხავ,—ყველაფერს გაიგებ.

წიგნთან იცხოვრებ,— არაფერს ინაღვლებ.

წიგნი ლხინში დაგამშვენებს,—ჭირში დაგამშვიდებს.

წიგნი მდინარეს ჰგავს,—გზას ყველგან გაიკვლევს.

## როგორ მივხვდი?

ქაღალდზე დასწერე 10-ზე ნაკლები რიცხვი. მიუმატე ამ რიცხვს რიცხვი 29. მიღებულ რიცხვს უკანასკნელი მარჯვენა ციფრი წაუშალე. რაც დაგრჩა, გაამრავლე 10-ზე. 10-ზე გამრავლება ხომ იცი? მიღებულ რიცხვს მიუმატე 4, რასაც ახლა მიიღებ, გაამრავლე 3-ზე. ვფიქრობ შენთვის არც ეს უნდა იყოს ძნელი. ეხლა მიღებულ რიცხვს გამოაკელი 2.

იცი რა მიიღე? რა თქმა უნდა იცი. შენ ხომ თვითონ დაწერე და იანგარიშე ყველაფერი, მაგრამ საკვირველია: პასუხი მეც ვიცი.

შენ მიიღე ზუსტად 100.

სწორია? შენ ხომ ჩემთვის არ გითქვამს, რა რიცხვი დასწერე პირველად?

ვაიქეცი და არითმეტიკული ამოცანა შენს ამხანაგებს აჩვენე. მხოლოდ იცოდე გამრავლება, მიმატება, გამოკლება არ შეგეშალოს.

## გამოცანები

(შეადგინა **გ. ოქრომჭედლიშვილმა**)

1. ახალწლის დღეს მეფედ დამსვეს,
   წელიწადი მომცეს ვადა,
   ამახიეს, დამახიეს,
   ტანსაცმელი რაც მებადა.
   გარედ მაშინ გამომაგდეს
   შემცვლელი რომ გამოცხადდა.

2. ცხრა კაბაში გახვეული
   ბებრუცანა ზის,
   ტანსაცმელი ვინც გახადა,
   თვალზე ცრემლი სდის.

საredაქციო კოლეგია: გრ. ბბაშიძე, ლ. ავალიანი, ეკ. ბურჯანაძე, ნ. გრიშაშვილი, თ. თუმანიშვილი, გ. კაჭახიძე, რ. მარგიანი (პ/მგ. რედაქტორი), ხ. სიხარულიძე, ნ. უნაფქოშვილი.

47-58

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ყვანჩალა და ცანცალა

ჰაი, ჰაი, უსირცხვილო ყვანჩალავ!
ჩემს ბაჭიას, ნაცარას და ცანცალას,
თავზე თოვლი დააყარე ურცხვადა—
ვაჰ, თუ სურდო შეეყარა უცბადა!..
გაკვირვებით რას დამყურებ ტოტიდან!
მანდ დაფრენა რალა ახლა მოგინდა!
...ნურც ყოფილა ქვეყნად ჩემი ბაჭია,
ნურც გამზრდია, ნურც გამხდარა კურდღელი,
თუ კი შენებრ გაიზრდება უზრდელი!

გარეკანის პირველ და მეოთხე გვერდზე, ნახატები „პირველი თოვლი“ და „ყვანჩალა და ცანცალა“, შესრულებულია მხატვარ ს. ბაბაშვილის მიერ.

გამომცემლობის № 22 სტამბის შეკვ. № 383 ტირაჟი 7000 უე 01635

ლ. ბ. ბერიას სახელობის პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.
ფერადი ილუსტრაციები დაბეჭდილია სსსრ კვების მრეწვ. სამინისტროს ლითოგრაფიაში.